ოქმი:ო63. 63241563
თარიღი:04/06/2024

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და

სოციალურ საკითხთა გაერთიანებულ კომისიათა

სხდომის

ოქმიN8

ქ. სამტრედია 28 მაისი, 2024 წელი.

მიმდინარე წლის 28 მაისს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მერაბ უღრელიძის, თავმჯდომარეობით ჩატარდა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიათა გაერთიანებული სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: მერაბ უღრელიძე, გოჩა არველაძე, ჯონი ახობაძე, ტარიელ ცომაია, დავით ჯანელიძე, ირაკლი მელაშვილი, ვაჟა სტურუა, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, ლიზა კრავეიშვილი, კობა ძიძიგური, ლაშა გრიგოლია, ლელა ჩორგოლაშვილი, ნათია პაპავა.

ასევე სხდომას ესწრებოდა:

1. მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვისა და საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი - მედეა ლეჟავა.
2. მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვისა და საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების სპეციალისტი - მაკა სეხნიაშვილი.
3. ა.(ა).ი.პ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების“ დირექტორი ხათუნა გაგუა. ბურალტერი ნინო რუხაძე.
4. ა.(ა).ი.პ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების“ დირექტორი - კობა ბიბილეიშვილი.
5. ა.(ა).ი.პ გამწვანება და კეთილმოწყობის გაერთიანება“-ს ხელმძღვანელი ელგუჯა კალაძე.

6. ა.(ა).ი.პ. ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“-ს ბუღალტერი თეიმურაზ გეგუჩაძე.

სხდომის თავმჯდომარემ მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

დღის წესრიგი :

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,კომუნალური გაერთიანების“ 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.63233592 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანება და კეთილმოწყობის გაერთიანების“ 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ.63-63233593 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

3. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების“ 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ.63-632335910 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

4. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ 2024 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ.63-632335916 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

6. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა გაერთიანებული კომისიის წევრთა (14) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა გაერთიანებული კომისიის წევრთა (14) ხმით, დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,კომუნალური გაერთიანების“ 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №g-63.63233592 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 23 მაისის 62-622414446 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა)ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება“-ს 2023 წლის 25 დეკემბრის # g-63. 63233592 განკარგულებით დამტკიცებულ 2024 წლის ბიუჯეტში, კერძოდ საქონელი და მომსახურეობის ხარჯის შემცირებას 17.0 ათ.ლარით, შესაბამისად არაფინანსური აქტივის ხარჯის გაზრდას 17.0 ათ.ლარით, რომელიც გამოწვეულია ამორტიზირებული სანაგვე ბუნკერების ახლით ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯით. ასევე ითხოვს შრომის ანაზღაურების ხარჯში, განათების განყოფილებაში ერთი საშტატო ერთეულის დამატებას, კერძოდ კოშკურა-ამწეს მძღოლს, რაც გამოწვეულია იმით, რომ მათ დაქვემდებარებაში არსებობს სამი ერთეული კოშკურაამწე, რომელზედაც დასაქმებული არის მხოლოდ ორი მძღოლი. იქედან გამომდინარე, რომ განათების წერტილების რაოდენობამ მიაღწია 15 ათას ერთეულს, ესაჭიროებათ მესამე მძღოლი, რომლის საშუალებითაც განხორციელდება განათების ქსელის სრულყოფილი და მობილური მომსახურეობა. აქედან გამომდინარე, ითხოვს გაერთიანების საშტატო ერთეულში შემდეგ ცვლილებას, ნაცვლად 106 ერთეულისა განისაზღვროს 107 საშტატო ერთეულით და განხორციელდეს სახელფასო განაკვეთში შემდეგი შიდა მუხლობრივი ცვლილება: კერძოდ სახელფასო დანამატის ხარჯის შემცირებას 6685 ლარით და შესაბამისად დამატებული მძღოლის ერთი საშტატო ერთეულის სახელფასო ანაზღაურების გაზრდას 6685 ლარით

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა და (7) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანება და კეთილმოწყობის გაერთიანების“ 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №g.63-63233593 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 23 მაისის 62-622414448 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა)ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის # g-63.63233593 განკარგულებით დამტკიცებული 2024 წლის ბიუჯეტის გეგმაში. კერძოდ 2024 წლის 1 იანვრისათვის არსებული საკუთარი სახსრების შემოსავლის ნაშთის 11.8 ათ.ლარის ასახვას; შესაბამისად ხარჯებში აღნიშნული თანხით 11.8 ათ.ლარით საქონელი და მომსახურების ხარჯების გეგმის გაზრდას, კერძოდ ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯის გეგმა (ოფისის რემონტისათვის საჭირო მასალების შეძენისათვის) 1.2 ათ.ლარით გაზრდას; საოფისე ავეჯის შეძენის ხარჯის გეგმის 2.0 ათ.ლარით; სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის გეგმა (სასმელი წყლის მილების, ხე-ნარგავებისა და ყვავილების შეძენისათვის) 8.6 ათ.ლარით გაზრდას. ასევე ითხოვს 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში მუხლობრივ ცვლილებას, კერძოდ არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმის შემცირებას - 1.5 ათ.ლარით, შესაბამისად საქონელისა და მომსახურების ხარჯების გეგმის გაზრდას 1.5 ათ.ლარით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა და შრომის, კომისიის წევრთა (7) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების" 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ.63-632335910 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 23 მაისის 62-622414447 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება. კერძოდ, ა.(ა)ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება ითხოვს 2023 წლის 25 დეკემბრის # გ-63.632335910 განკარგულებით დამტკიცებულ 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებას, კერძოდ თანამდებობრივი სარგოს შემცირებას 5.0 ათ.ლარით, საქონელი და მომსახურების ხარჯის 55.0 ათ.ლარით (მ.შ.კვების ხარჯის 35.0 ათ.ლარით კონტიგენტის გამოუცხადებლობის გამო, საოფისე ავეჯი 20.0 ათ.ლარით). შესაბამისად დამქირავებლის მიერ გაცემული სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი, დეკრეტული შვებულების გასაცემად 5.0 ათ.ლარით გაზრდას, ხოლო არაფინანსურ აქტივში არასაცხოვრებელი შენობების ხარჯის 55.0 ათ.ლარით (ქალაქის #1 და #7 ბაგა-ბაღებში მიმდინარე რემონტისათვის, სურსათის უვნებლობის შენიშვნების აღმოსაფხვრელად).

აზრი გამოთქვეს: გოჩა არველაძემ, დავით ჯანელიძემ და ხათუნა გაგუამ.

გოჩა არველაძე - კულაშის ბაღში არსებული დიდი შენობა სავალალო მდგომარეობაშია. თუკი არის იმის შესაძლებლობა, რომ მოვიწვიოთ ექსპერტიზის ეროვნული ბიურო(სამხარაული) და გავაკეთოთ დასკვნა, რომ ის ნახევარი მხარე მოსცილდეს და ამჟამად რომელშიც ბაღია, ის დავტოვოთ.

დავით ჯანელიძე - დავეთანხმები ბატონ გოჩას, ჩემი აზრით დასაშვებია.

ხათუნა გაგუა - ექსპერტიზა თუ დადებს დასკვნას, რომ არსებული შენობა ამორტიზირებულია, ამის შემდგომ წერილობითი მიმართვა უნდა გაიგზავნოს ეკონომიკის სამინისტროში. ეს ჩვენს ბალანსზე არ იმყოფება.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (7) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის" 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ.63-632335910 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 23 მაისის 62-622414449 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება. კერძოდ, საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N121/N25/ნ 12 აპრილი 2024 წ. საფუძველზე ითხოვს ა.(ა).ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი" 2023 წლის 25 დეკემბრის სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გ.63- 632335916 დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებას, რომელიც შეეხება ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის" 2024 წლის საშტატო ერთეულის დანართ N 5-ს, რომელიც ჩამოყალიბდა ამ ბრძანების მუხლი 1-ის და მუხლი 6-ის შესაბამისად. აღნიშნულ განკარგულებაში ხარჯებში მოხდეს

მუხლობრივი ცვლილება, კერძოდ: არაფინანსური აქტივის გეგმა შემცირდეს 50,7 ათასი ლარით, ხოლო საქონელი და მომსახურეობა 5.3 ათასი ლარით, შესაბამისად გაიზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლი 56.0 ათასი ლარით. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი ახორციელებს დელეგირებულ უფლებამოსილებას, რის შესაბამისად ეს ბრძანება საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N121/N25/ნ 12 აპრილი 2024 წ.ძალაში შესულია გამოქვეყნებისთანავე 2024 წლის 16 აპრილიდან. ასევე გამომდინარე ამ ბრძანებიდან, რომელიც ითვალისწინებს ხელფასების გაცემას ამ პერიოდიდან, ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის“ ხელფასების გაცემა 1 მაისიდან არ იწვევს ხარჯების ზრდას კანონის შესაბამისად. ასევე ითხოვს ცვლილებას, კერძოდ საკუთარი შემოსავლების გაზრდას 2,9 ათასი ლარით. შესაბამისად ხარჯვის ნაწილში დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს შორის გაფორმებული ხელშეკრულება N40-ის თანახმად, რომელიც ითვალისწინებს „ტუბერკულოზის კონტაქტების მართვა“-ს გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სახელფასე ფონდის გაზრდას 1,6 ათასი ლარით; მალარიის საპროფილაქტიკო ღონისძიებების გასატარებლად დაიდო ხელშეკრულება (N334) დაავადებათა კონტროლის ცენტრსა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს შორის, რომლის თანახმად სახელფასე ფონდის გაზრდას ითხოვს 1,3 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: გოჩა არველაძემ, თემურ გეგუჩაძემ და მედეა ლეჟავამ.

გოჩა არველაძე - ბატონო თემურ, გთხოვთ დეტალურად განგვიმარტოთ თუ რა ცვლილებები განხორციელდა .

თემურ გეგუჩაძე - როგორც წერილობით მომართვაში აღნიშნულია, ეს არის საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N121/N25/ნ 12 აპრილი 2024 წ.რომელსაც შემდგომ მოჰყვა ა.(ა).ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის“ 2024 წლის საშტატო ერთეულის განრიგი საბაზისო ხელფასით. რომელიც კოეფიციენტის შესაბამისად იზრდებადა ეს საბაზისო ხელფასი გაცილებით დიდია ყოფილ ხელფასზე. ამიტომ მოგვიწია არაფინანსური აქტივიდან ტრანსპორტის ხარჯის მოხსნა, რათა შეგვევსო დარჩენილი 8 თვის თანამდებობრივი სარგო. გაზრდილი საბაზისო ხელფასიდან გამომდინარე. რაც შეეხება საკუთარ შემოსავლებს ხარჯვის ნაწილში დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს შორის გაფორმებული ხელშეკრულება N40-ის თანახმად, რომელიც ითვალისწინებს „ტუბერკულოზის კონტაქტების მართვა“-ს გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სახელფასე ფონდის გაზრდას 1,6 ათასი ლარით; მალარიის საპროფილაქტიკო ღონისძიებების გასატარებლად დაიდო ხელშეკრულება (N334) დაავადებათა კონტროლის ცენტრსა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს შორის, რომლის თანახმად სახელფასე ფონდის გაზრდას ითხოვს 1,3 ათასი ლარით.

გოჩა არველაძე - ანუ გამოდის, რომ ტრანსპორტის შეძენა ვერ ხერხდება.

თემურ გეგუჩაძემ უპასუხა - ტრანსპორტის შეძენა ამ ეტაპზე ვერ ხერხდება, ვინაიდან უნდა შესრულდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N121/N25/ნ 12 აპრილი 2024 წ.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა გაერთიანებულ კომისიათა წევრთა (14) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ ულრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, **რომ „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულებიაში შეტანილი 2024 წლის 14 მაისის N668 ცვლილების თანახმად სამტრედიის მუნიციპალიტეტისათვის** პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები განესაზღვრა 7 252.3 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა მთავრობით შეადგენს - 6 746.9 ათას ლარს , ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით თანადაფინანსება შეადგენს - 505.3 ათას ლარს. შესაბამისად, გაიზარდოს **კოდი 02 01 გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა მთავრობით - 38.3 ათასი ლარით.

შემცირდეს სულ 133.6 ათასი ლარით:

- **05 01 01 კოდი სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს 90.6 ათასი ლარით;

- 01 01 02 კოდი სამტრედიის მერიის არაფინანსური აქტივების გეგმა - 43.0 ათ. ლარით;

შესაბამისად გაიზარდოს და მოწესრიგდეს სულ 133.6 ათასი ლარით:

- **02 03 03 კოდი სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების გეგმა - 33.6 ათასი ლარით;

- **02 01 კოდი გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა გაიზარდოს 100.0 ათასი ლარით.

მუხლობრივი ცვლილებები:

- **03 01 კოდი აიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების** სუბსიდიის გეგმა შემცირდეს 17.0 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის არაფინანსური აქტივების გეგმა.

- **04 01 კოდი აიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები)გაერთიანების** სუბსიდიის გეგმა შემცირდეს 55.0 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის არაფინანსური აქტივების გეგმა.

- **03 02 კოდი ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს 1.5 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის სუბსიდიის გეგმა.

- **06 01 01 კოდი აიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს 50.7 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის სუბსიდიის გეგმა.

- **02 02 02 კოდი წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს 11.0 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის საქონელი და მომსახურების გეგმა.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (9) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: ლია ყურულაშვილი

მერაბ უღრელიძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო საკითხთა
კომისია-საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი